საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 04/3230-18

"25" 09 2018 წ.

სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს"

ასლი: მაუწყებლებს

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2018 წლის 18 სექტემბრის განცხადებასთან (კომისიაში რეგისტრაციის N9-6/4717-18) ერთად წარმოდგენილ სარეკლამო ვიდეორგოლების (პოლიტიკური/წინასაარჩევნო სარეკლამო ვიდეორგოლები, რომლებიც მიზნად ისახავს საარჩევნო სუბიექტის სალომე ზურაბიშვილის არჩევისთვის ხელის შეშლას) სამაუწყებლო ეთერში განთავსებასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ შემდეგს:

1. ერთ-ერთ სარეკლამო ვიდეორგოლში გამოყენებული არის ნაწყვეტი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა „რეაქციიდან", სადაც საზოგადოებრივ - პოლიტიკური გადაცემის წამყვანი ინგა გრიგოლია კითხვას უსვამს პრეზიდენტობის კანდიდატს.

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, იკრძალება ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და წინასაარჩევნო დებატების პროგრამის წამყვანის ან ჟურნალისტის ნებისმიერი სახით მონაწილეობა რეკლამაში ან ტელეშოპინგში. შესაბამისად, აღნიშნული სარეკლამო რგოლი წარმოადგენს არასათანადო რეკლამას, რომლის განთავსება აკრძალულია ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტით.

2. ერთ-ერთ სარეკლამო ვიდეორგოლში პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ გამოყენებულია შეურაცხმყოფელი გამონათქვამი და შედარება და ის მოხსენიებულია როგორც მოღალატე, რაც არღვევს ზნეობრივ ნორმებს და ბღალავს ფიზიკურ პირს. აღნიშნული სარეკლამო რგოლი წარმოადგენს არაეთიკურ და, შესაბამისად, არასათანადო რეკლამას, რომლის განთავსება აკრძალულია ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტით.

3. ერთ-ერთი სარეკლამო ვიდეორგოლი შეიცავს უხამსი შინაარსის გამონათქვამს. ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, იკრძალება პორნოგრაფიის, აგრეთვე ადამიანისა და მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა შემლახავი ისეთი პროგრამის ან რეკლამის განთავსება, რომელიც შეიცავს უხამსობას.

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული 3 (სამი) სარეკლამო ვიდეორგოლი ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. იმ შემთხვევაში თუ მაუწყებელმა განათავსა აღნიშნული ვიდეო რგოლები უნდა მოხდეს მათი დაუყოვნებლივ ამოღება სამაუწყებლო ბადიდან.

კომისიის თავმჯდომარე

კ. ბექაური